

K98 878
3

100-55240
302-THW0100

K98.878

3

ა. ერდონავალი
საქართველოს მთავრობის
მუნიციპალიტეტი

ღვინის გამზადები ნივთიერებანი



გ. გ. პურულელაშვილი



ქვენის გამნენდი ნივთიერებანი

3.

სკოლა-2000
გეოგრაფიულია



სახელმწიფო გამოცემობა

„საბჭოთა სსრართველო“

თბილისი—1961

ღვინის გაწმენდი ნივთიერებებით ნივთიერებებით

ღვინის გაწმენდას ისეთი ნივთიერებებით, რომლებიც მასში შესაბამის მექანიკურ ან ქიმიურ მოქმედებას იწვევენ, ღვინის ტექნოლოგიაში გაწებვას უწოდებენ.

ღვინის გაწმენდა სხვადასხვა ნივთიერებანით, ანუ ღვინის გაწებვა, დიდი ხნიდანაა. ცნობილი და მეღვინეობის პრაქტიკაში დიდმნიშვნელოვან და რთულ ოპერაციას წარმოადგენს. გაწებვა არა მარტო მექანიკურად წმენდავს ღვინის, არამედ ანაზებს და აკეთილშობილებს მას. იგი აკრეოვე ხელს უწყობს ღვინის გაყვითლების და გაბურვის თავიდან აცილებას.

ღვინის გაწმენდის არსი მდგომარეობს გასაწმენდი ღვინის და მასში შეტანილ გამწმენდ ნივთიერებათა კოლოიდების ურთიერთქმედებაში. კოაგულაციის ოპტიმალური პირობებისათვის საჭიროა, რომ გამწმენდ ნივთიერებათა კოლოიდური ნაწილაკები მთლიანად შეუერთდეს გასაწმენდ ღვინის კოლოიდურ ნაწილაკებს. ექსპერიმენტული მონაცემებით დადგენილია, რომ ღვინის კოლოიდური ნაწილაკები, რომელთაც უნარი აქვთ ჟელატინით დაიწმინდოს, უარყოფითად არიან დამუხტული, ჟელატინი კი ღვინოში დადებითად იმუხტება. ამიტომ ჟელატინით ღვინის გაწმენდის შემთხვევაში დადებითად დატვირთული გამწმენდი კოლოიდური ნაწილაკები უერთდებიან უარყოფითად დატვირთულ კოლოიდურ ნაწილაკებს და მიმდინარეობს სრული განტვირთვა—იწყება კოაგულაცია, რომლის დროსაც ხდება ნაწილაკთა მსხვილ ნაფლეთებად შეკავშირება და მათი გამოლექვა.

ღვინის სიმღვრივის კოაგულაცია და მისი გაწმენდა მით უფრო კარგად მიმდინარეობს, რაც უფრო სრულყოფილი იქნება კოლოიდთა შორის ურთიერთ სრული განტვირთვა, მა-



გალითად, თუ შელატინით გაწებვისას ღვინის კოლონიზაციის ნაწილაკები დატვირთულნი არიან დადებითად, მაშინ ურთიერთგანტვირთვა აღარ იწარმოებს და ღვინის გაწმენდაც არ მოხდება. ამის შედეგად მეღვინეობის პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა გამწმენდი ნივთიერებებით გაწებვისას ღვინო ცუდად იწმინდება ან სრულიად არ იწმინდება. გამწმენდ ნივთიერებათა შერჩევისას საჭიროა განისაზღვროს ღვინის სიმღვრივის კოლოიდურ ნაწილაკთა ელექტროტვირთი, როცა სიმღვრივის კოლოიდურ ნაწილაკთა დატვირთვის ნიშანი უარყოფითია, ღვინის გაწებვისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს შელატინი და სხვა გამწმენდები, რომლებიც დატვირთული არიან დადებითად. იმ შემთხვევაში კი როდესაც ღვინის კოლოიდური ნაწილაკები დატვირთულია დადებითად, გამწმენდად ისეთი ნივთიერებანი გამოყენება, რომელთა ნაწილაკები დატვირთულია უარყოფითად, ასეთ გამწმენდად ითვლება აგარაგარი. მკვლევართა მონაცემებით ყურძნის წვენის და ღვინის კოლოიდურ ნაწილაკებს სხვადასხვა დატვირთვის ნიშნები ახასიათებთ: პექტინოვან ნივთიერებებს—უარყოფითი, ცელულოზას—უარყოფითი, ცილოვან ნივთიერებებს—დადებითი, მთრიმლავ ნივთიერებებს—უარყოფითი; ამგვარად პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს ცილოვანი წარმოშობის ნივთიერებებით ყურძნის წვენის და ღვინის გაწმენდისას მდგომარეობს:

1. ღვინის კოლოიდთა კოაგულაციაში, რომელიც მიმდინარეობს უარყოფითად დატვირთულ პექტინოვან და მთრიმლავ ნივთიერებათა და დადებითად დატვირთულ ცილის ნაწილაკთა შორის.

2. ღვინის ამშლერევ ნაწილაკების უხსნადი ნაერთების ადსორბციაში კოაგულაციის დროს.

3. ცილოვან და მთრიმლავ ნივთიერებათა ურთიერთქიმიურ ქმედებაში.

ღვინის გასაწმენდად იხმარება ისეთი გაძწმენდი ნივთიერებანი, რომლებიც ღვინის ხარისხსა და ღირსებაზე უარყოფით გავლენას არ ახდენენ, პირიქით, აკეთილშობილებენ მას. ღვინოში შეტანილი წებოვანი ნივთიერება ღვინოს სიბლანტეს აძლევს და მისი სიმღვრივის დაჩქარებას იწვევს. ხელოვნური სიმღვრივის გამოწვევისას მთრიმლავი და



მღებავი ნივთიერებანი გადალიან უხსნად მდგომარეობაში და დამკავშირებელი თავის გარშემო იქრებენ ლვინოში მყოფ ამმღვრევ მექანიზმების სხეულებს, რომლებიც მაღალი ხვედრითი წონის გამო ჭურჭლის ფსკერზე იძირებიან. მთრიმლავი ნივთიერებების შეერთება წებოსთან თანაბარი პროპორციით არ ხდება, რის შედეგადც არ მიმდინარეობს თანაბარი რეაქცია. რაც უფრო მდიდარია ლვინო ტანინით და რაც უფრო მცირე რაოდენობით შევიტანთ მასში გაძმენდ ნივთიერებას, შით უფრო მეტი ტანინი შეუერთდება ერთიდამავე გამჭმენდ ნივთიერებას და ლვინოს ექრ მივიღებთ სავსებით გაწმენდილს, ამიტომ ლვინის გაწევისას საჭიროა, რომ ლვინოში მყოფ ტანინსა და გამჭმენდ ნივთიერებებს შორის დავიცვათ ერთგვარი თანაფარდობა.

დადგენილია, რომ 1 გრ მშრალი თევზის წებოს მოქმედებით უხსნად მდგომარეობაში გადაღის 0,82 გრ ტანინი ანდა 1 გრ ტანინი ბოჭავს 1,22 გრ თევზის წებოს.

1 გრამი ჟელატინი ლექავს 0,73 გრ ტანინს ანდა 1 გრ ტანინი ბოჭავს 1,37 გრ ჟელატინს.

პრაქტიკულად დამტკიცებულია, რომ 1 გრ მწებავ ნივთიერებაზე უნდა მოღიოდეს 0,7—1,5 გრ ტანინი, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია ლვინის შემაღენლობაზე და მასში შეტანილ მწებავ ნივთიერებათა რაოდენობაზე, ლვინის მუვიანობაზე და ლვინის ქვის და სხვა მარილების შემცველობაზე. ლვინო რომ უკეთ დაიწმინდოს, საჭიროა გამჭმენდი ნივთიერება სწრაფად არ ილექტოდეს, რაც უფრო ნელა ხდება მისი დალექვა მით უკეთ იწმინდება ლვინო. ეს ოპერაცია საშუალოდ 15—20 დღე უნდა გრძელდებოდეს; კარგი გამჭმენდი ნივთიერება მკვრივ ნალექს უნდა იძლეოდეს და მისი რაოდენობა ჰექტოლიტრზე 1,5 ლიტრს არ უნდა აღმატებოდეს.

ლვინის გამჭმენდი ნივთიერებანი თავისი მოქმედების მიხედვით შეიძლება დაიყოს 2 ჯგუფად. პირველ ჯგუფს ეკუთვნის ორგანული მწებავი ნივთიერებანი: თევზის წებო და ჟელატინი, რომლებიც ქიმიურ რეაქციაში შედიან ლვინოში არსებულ ტანინთან და საღებავ ნივთიერებებთან: ამ ჯგუფის მწებავი ნივთიერებანი კი — კვერცხის ცილა, სისხლი, რძე, კაზეინი და სხვ. კოაგულაციას განიცდიან ლვინოში არსებული



სპირტის, ტანინის და მეთანოლის მოქმედებით. უელატინი მეთანოლი თევზის წებო კოაგულაციას განიცდის ტანინთან შეერთებასთან შეერთებით გინიცდის. ამავე ჯგუფში შეიძლება მოვათავსოთ ქიმიურად მოქმედი არაორგანული ნაერთი — ყვითელი სისხლის მარილი. იგი რეაქციაში შედის რეინის ჟანგის მარილების და აგრეთვე სხვა მძიმე მეტალებისა და ცილოვან ნივთიერებათა ნაერთებში.

მეორე ჯგუფს ეკუთვნიან ის მექანიკურად მოქმედი ნივთიერებანი, რომლებიც არ შედიან რეაქციაში ღვინის შემადგენელ ნაწილებთან. ამ ჯგუფს ეკუთვნიან: ესპანური მიწა, ცხოველური და მცენარეული ნახშირი, კაოლინი, კვარცის სილა, ბენტონიტოვანი თიხები, ცელულზა, აზბესტი, აგარაგარი და სხვ.

თევზის ჭაბო

თევზის წებო მიიღება სხვადასხვა თევზის საცურავი ბუშტიდან, ყველაზე საუკეთესო ხარისხის წებოდ ითვლება ზუთხის ბუშტისაგან დამზადებული წებო. ასევე კარგ შედეგს იძლევა თორუჯის ან თართის წებო. თევზის წებო იყიდება ფართე ფირფიტების, ბურბუშელის, ფხვნილის და ხსნარის სახით.

თევზის წებო იხმარება მცირე ტანინიან ნაზი თეთრი სუფრის ღვინოების და მცირე ტანინიან მსუბუქი წითელი ღვინოების გასაწმენდად. ღვინის გაწმენდის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს წებოს ხსნარის მომზადებას.

ძალიან კარგ შედეგს იძლევა თევზის წებოს ხსნარის დამზადება შემდეგნაირად: იღებენ განსაზღვრული რაოდენობის თევზის წებოს, მას წვრილ ნაჭრებად სჭრიან და დღელამის განმავლობაში აღბობენ. 24 საათის შემდეგ წყალს გადააქცევენ და უმატებენ სპირტის, წყლისა და ღვინის მეთანის ნარევს იმ ანგარიშით, რომ თვითეულ 10 გრ თევზის წებოზე მოდიოდეს 10 გრ ღვინის მეთანი, 150 მლ 95°-იანი სპირტი და 850



მღლ წყალი. ხშირი და კარგი დარევეით ღებულობენ ერთგვაული როვან ფაფისებურ მასას, იმ შემთხვევაში თუ მასში გაუხსნელი ნაწილაკები, უმჯობესია იგი რაიმე ქსოვილში გავატაროთ. მიღებულ მასიდან, რომელიც განთავისუფლებულია ყოველგვარ ნაწილაკებისაგან, მზადდება 1%-იანი ხსნარი, ე. ი. ყოველ 1 ნაწილ მშრალ წებოზე მოდის 100 ნაწილი ნარევი.

ამ წესით დამზადებული ხსნარის გაცხელება სწარმოებს არა უმეტეს 25%, ამ ტემპერატურის ზევით წებოს გაცხელება იწვევს გაწებვის უნარიანობის შემცირებას.

თევზის წებოს ხაჭირო რაოდენობა ლვინის გასაწებად. იმისათვის, რომ ღვინო კარგად გაიწმინდოს, საჭიროა მასში შევიტანოთ წებოს განსაზღვრული ღოზა. სხვადასხვა შინაარსის და შემადგენლობის ღვინო საჭიროებს წებოს სხვადასხვა რაოდენობას. ასე მაგალითად: სუფრის თეთრი, ნაკლებ ტანინიანი, ნაკლებად მღვრიე ღვინოები უმეტეს შემთხვევაში წებოს უმნიშვნელო ღოზითაც კარგად იწმინდებიან. პირველი გაწებვისას ჰექტოლიტრ ღვინოს კარგად სწმენდს 2—4 გრამი წებო. თუ ღვინოს მიემატა წებოს იმაზე მეტი რაოდენობა, რამდენიც შესაძლოა შეკავშირებულ იქნეს ტანინთან, მაშინ წებოს ზედმეტი რაოდენობა ხსნარში რჩება და ასეთი ღვინო, გადაღებისას ან ბოთლებში ჩამოსხმის ღროს, ჰაერთან უმნიშვნელო შეხებითაც კი აიმღვრევა, ეს კი წარმოადგენს ღვინის ე. წ. გადაწებვას.

მთრიმლავ ნივთიერებით მდიდარ ღვინოების გასაწმენდად კი ზემოთ დასახელებული წებოს რაოდენობა მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს. წითელი ღვინოებისათვის ჰექტოლიტრზე საჭიროა 5 გრ წებო, ხოლო ზოგ შემთხვევაში უფრო მეტიც კი.

როგორც წებოს ჭარბი რაოდენობა არა მიზანშეწონილი მცირე ტანინიან ღვინოების გასაწმენდად, ასევე მცირე დოზით შეტანილი წებო ტანინთან მდიდარ ღვინოებში მთლიანად არ იბოჭება, არ ილექება და ღვინო დიდხანს რჩება მღვრიე მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე, ვიდრე ღვინის გაწებვას შევუდგებოდეთ საჭიროა წინასწარ დავადგინოთ

მშრალი წებოს საჭირო რაოდენობა ამა თუ იმ ღვინის გადაცემა
მენდად.




ცდის დაყენება წებოზე. თევზის წებოს საჭირო რაოდე-
ნობის დასადკენად უნდა ჩავატაროთ საცდელი გაწებება. ამი-
სათვის იხმარება $1/4\%$ -იანი წებოს ხსნარი, რომელიც შემ-
დეგი წესით მზადდება: 2,5 გრ მშრალი წებო იჭრება პატარ-
პატარა ნაჭრებად, გარეშე სუნის მოსაცილებლად ლბება ცავ
წყალში, რომელიც რამდენიმეჯერ უნდა გამოეცვალოს. 24
საათის შემდეგ წყალი უნდა გადაიღვაროს და დაემატოს 90° -
იანი 150 მლ სპირტი, 6 გრ ღვინის მევა და 850 მლ წყალი.
უმჯობესია, რომ წყლის მიმატება ხდებოდეს თანდათანობით
24 საათის განმავლობაში. როცა წებო სრულიად გაიხსნება,
ძილებული ნარევი 1 ლიტრის ოდენობით უნდა გატარდეს
სუფთა ქსოვილში. შემდეგ უნდა ავიღოთ 4 ცალი 0,5 ლიტ.
ტევადობის ბოთლი, თვითეულში 250 მლ ოდენობით ჩავას-
ხათ გასაწმენდი ღვინო. პირველს მივემატოთ 1 მლ წინას-
წარ დამზადებული ხსნარი, მეორეს 2 მლ, მესამეს 3 მლ და
მეოთხეს კი 4 მლ. შემდეგ ბოთლები კარგად უნდა შეინჯო-
რეს და იმ განყოფილებაში დაიდგას, სადაც გასაწმენდი ღვი-
ნოა მოთავსებული. 2—3 საათის შემდეგ დაიწყება წებოს აჭ-
რა, ხოლო 24 საათის შემდეგ დაკვირვება უნდა გაწარმოოთ,
თუ წებოს რა რაოდენობამ გაწმინდა ღვინო უკეთესად.

დავუშვათ, რომ ყველაზე კარგი შედეგი მოგვცა პირველმა
ბოთლმა, ე. ი. ყველაზე კარგად 250 მლ ღვინო დაიწმინდა
1 მლ $1/4\%$ -იანი ხსნარით. თევზის წებოს 1 მლ ხსნარი შეი-
ცავს $0,25 : 100 - 0,0025$ გრ მშრალ წებოს, ე. ი. 250 მლ ღვი-
ნის გასაწმენდად დაგვჭირდება $0,0025$ გრ მშრალი წებო,
1 ლიტრს კი დასჭირდება $4 \cdot \frac{1}{4} = 1$ გრ მეტი, ე. ი. $0,0025 \times 4 =$
 $= 0,01$ გრ, 100 ლიტრზე კი საჭირო იქნება $0,01 \times 100 = 1$ გრ.
მაშასადამე, ჰექტოლიტრ ღვინის გასაწმენდად საჭიროა 1 გრ
მშრალი თევზის წებო. სხვანაირად რომ ვთქვათ, ყოველი 1
მლ $1/4\%$ ხსნარს 250 მლ ღვინოზე შეესაბამება 1 გრ მშრა-
ლი წებო 1 ჰექტოლიტრ ღვინოზე.

საცდელი გაწებვის ჩასატარებლად არსებობს სპეციალური
მოწყობილობა (იხ. ნახ. 1), რომელიც შედგება ხის დაზგისა-

გან. მასზე მოწყობილია დანომრილი მინის ცილინდრები თვითეული 200 მლ მოცულობით,

ხელსაწყოსათვის ხსნარის დამზადება ხდება ზემოთ მოყვანილი წესის თანახმად, ოღონდ იმ ანგარიშით, რომ 1 ლიტრ ხსნარზე მოდიოდეს 4 გრ მშრალი ნივთიერება. საცდელი გაწებვის ჩატარებისას თვითეულ ცილინდრში ასხამენ 200 მლ ღვინოს და ბიურეტით 1, 2, 3, 4 და ა. შ. მლ წებავ ნივთიერებას ამატებენ. ცილინდრს ანჯლრევენ და ტოვებენ იმავე შენობაში. საღაც მოთავსებულია გასაწმენდი ღვინო. 2—3 დღის შემდეგ საჭიროა გავარკვიოთ თუ რომელ ცილინდრში



ნახ. 1.

უფრო უკეთაა ღვინო გაწმენდილი. ვთქვათ ყველაზე კარგი გამჭვირვალობა აქვს № 2 ცილინდრში მოთავსებულ ღვინოს, ეს ნიშნავს, რომ გასაწებად 100 ლიტრ ღვინოზე შეიძლება ავილოთ 2 გრ მშრალი წებო.

თევზის წებოს ხსნარის დამზადებისათვის მნიშვნელოვან პირობად ითვლება ტემპერატურა. წებომ რომ თავის თვისება გამოავლინოს, ამისათვის ის უნდა გათბეს 24° -ზე.

თევზის წებოს გაწებვის უნარიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ხსნარის დასამზადებლად აღებულ ღვინის მჟავიანობას და სპირტიანობას. პრაქტიკულად დამტკიცებულია, რომ თევზის წებოს ხსნარის დასამზადებლად უკეთესია მაღალმჟავიანი ღვინო, ამიტომ როდესაც ნაკლებმჟავიან და ნაკლებალკოჰოლიან ღვინოების გაწებვას ვახ-



დენთ, უკეთესია ხსნარის დასამზადებლად ვიხმაროთ არა უგრძელებელი ვე ღვინო, რომლის გაწმენდაც უნდა ვაწარმოოთ, არამედ სხვა, რომელიც შეიცავს მომეტებულ ალკოჰოლსა და სიმებავეს. ანდა დაბალმეუავიან ღვინოს უნდა შიემატოს ღვინის მეუავა. ასე უნდა მოვიქცეთ განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც წებოს ხსნარს გარკვეული ღროის განმავლობაში ვინახავთ.

თევზის წებოს ხსნარის შენახვა. გაწებვის შემდეგ დარჩენილი თევზის წებოს ხსნარი ხანგრძლივი ღროით შეიძლება შევინახოთ საესე ბოთლით, დაწმენდილ მდგომარეობაში 20° -მდე ტემპერატურის პირობებში. შენახული ხსნარი, როცა მას 25° ტემპერატურაზე გავათბობთ, ისევე კარგად სწორდს სუფრის თეთრ ღვინოებს, როგორც ახლად დამზადებული წებოს ხსნარი. ცდებით დადგენილია, რომ თევზის წებოს ხსნარის შენახვით მისი გაწებვის უნარიანობა არ მცირდება.

შელატინი

შელატინი გამოიყენება სხეულიან და ტანინით მდიდარ თეთრი და წითელი ღვინოების გასაწმენდად. იგი მზადდება ცხოველთა ძვლებიდან, ტყავიდან, ძარღვებიდან და ჩლიქებიდან. რაც უფრო სუფთაა შელატინი, მით მეტი გაწებვის უნარიანობით ხასიათდება იგი. ღვინის გასაწმენდად ძველად ჩვეულებრივ დურგლის წებოს ხმარობდნენ, მაგრამ ის მთლად სუფთა ვერ არის, მაგარია და არასასიამოვნო სუნი აქვს, ამიტომ იგი უხეში ღვინოების გასაწმენდადაც კი უვარგისია. შელატინი მრავალნაირი არსებობს. მეღვინეობაში საუკეთესოდ ითვლება თეთრი შელატინის გამჭვირვალე ფირფიტები, რომლებიც ღვინოს გარეშე სუნსა და გემოს არ სძენს.

შელატინს არა მარტო ღვინის გასაწებად ხმარობენ, არამედ მას იყენებენ ღვინის ფერის გამოსასწორებლად და ტლანქი ღვინოების შესარბილებლადაც. მისი გაწებვის უნარიანობა ხასიათდება იმით, რომ იგი ტანინთან და მღებავ ნივთიერებებთან შეერთებისას ღვინოში წარმოქმნის უხსნად ნივ-



თიერებებს, რომლებიც ჭურჭლის ფსკერზე იძირებიან და მიიყოლებენ ღვინის სიმღვრივის გამომწვევ ნივთიერებებს.

ღვინოზე მოქმედების ხასიათით უელატინი დიდად არ განირჩევა თევზის წებოსაგან. ღვინოში მისი შეტანისას ასევე წარმოიქმნება წვრილმარცვლოვანი ფიფქები, რომლებიც მძიმედ ილექტინი ჭურჭლის ფსკერზე. თევზის წებოსთან შედარებით, ღვინის მთლიანად დასაწმენდად, უელატინი საგრძნობლად დიდ დროს საჭიროებს.

უელატინის საჭირო რაოდენობა ღვინის გასაწმენდად. ღვინის გასაწმენდად უელატინი გაცილებით მეტი რაოდენობითაა საჭირო, ვიდრე თევზის წებო. სრულიად დაწმენდილი ღვინის მისაღებად საჭიროა სხვადასხვა შინაარსის ღვინისათვის ვიზმაროთ უელატინის განსხვავებული რაოდენობა. ასე მაგალითად: ნორმალური სუფრის თეთრი ღვინოების გასაწმენდად ჰექტოლიტრ ღვინოზე საჭიროა 4–8 გრ უელატინი.

იმისათვის, რომ მთრიმლავი ნივთიერებებით ღვინოში კარგად აიჭრას და დაილექოს უელატინი, საჭიროა რომ მას ხელოვნურად მიერმატოს ტანინი ღვინოში შეტანილი უელატინის 2/3-ი ან თანაბარი რაოდენობით. ტანინის მიმატება საჭიროა იმ შემთხვევაშიც თუ სურთ ღვინოში მთრიმლავ ნივთიერებათა შენარჩუნება.

წითელი ან ჭაჭაზე დადუღებული თეთრი ღვინოებისათვის ჰექტოლიტრ ღვინოზე საჭიროა 8–10 გრ უელატინი. როცა გაწებვას იმ მიზნით ახდენენ, რომ გამოასწორონ ღვინის ესათუ ის ნაკლი, მაგ. გაბურვა ან გაშავება, ანდა იმ დაავადებათა მკურნალობის მიზნით, როგორიცაა ღვინის გადაბრუნება, სიმწარე და სხვ., ზემოხსენებული დოზები ჰექტოლიტრ ღვინოზე 30–40 გრ-მდე მატულობს.

იმისათვის, რომ ღვინომ სრულ გამჭვირვალობას მიაწიოს, მას წინასწარ უნდა დაემატოს ტანინის მიდენი რაოდენობა, რამდენიც აღებული იქნება უელატინი. სანამ ღვინის გაწებვას შევუდგებოდეთ, საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ღვინის მდგომარეობა და ჩატარდეს საცდელი გაწებვა.



საცდელი გაწებვის ჩატარება. ამათუიმ ღვინის გაწებვის ბად შელატინის საჭირო რაოდენობის დადგენისათვის საცდელი რომ დავამზადოთ 1/4%-იანი ხსნარი.

1/4%-იანი ხსნარის დასამზადებლად ვიღებთ 2,5 გრ მშრალ შელატინს და ვასნით მცირე რაოდენობის ცხელ წყალში. გახსნისთანავე ვუმატებთ 150 მლ 96%-იან სპირტს და მიღებულ ხსნარს ვავსებთ ერთ ლიტრამდე სუფთა წყლით. ასეთი ხსნარი კარგად ინახება. რადგან ღვინის გაწებვისათვის შელატინი უფრო მეტია საჭირო, ვიდრე თევზის წებო. ამიტომ საცდელი ღვინის ნიმუშები უფრო მეტი უნდა ავიღოთ და ყოველ 250 მლ ღვინოს დავამატოთ 3, 4, 5 და ა. შ. 10 მლ შელატინის ხსნარი. ნაკლებ ტანინიანი თეთრი ღვინის საცდელი გაწებვის შემთხვევაში საჭიროა ტანინის წინასწარი მიმატება იმ ანგარიშით, რომ 1 ნაწილ შელატინზე მოდიოდეს 1—1,5 ნაწილი ტანინი.

ტანინის საჭირო რაოდენობა რომ განვსაზღვროთ, ვამზადებთ 1/4%-იან ტანინის ხსნარს. ტანინს ვხსნით სპირტში ან ღვინოში და საცდელ ბოთლებში, შელატინის ხსნარის მიმატებამდე, ვუმატებთ პირველ ბოთლში 3 მლ; მეორეში 4 მლ და ა. შ. კარგად შენჯლრევის შემდეგ კი ვუმატებთ გარკვეული რაოდენობის შელატინის ხსნარს.

საცდელი გაწებვა უნდა ჩატარდეს იმავე პირობებში, რა პირობებშიც გასაწები ღვინო იმყოფება. სრული გამჭვირვალობა ღვინოს 2—3 კვირის შემდეგ ემჩნევა, მაგრამ ასეთი ცდის დროს საჭირო არ არის დაველოდოთ სრულ გაწმენდას. 3—4 დღეში, მაქსიმუმ 1 კვირაში შეიძლება ითქვას თუ რა რაოდენობის შელატინით გაიწმინდა ღვინო. დავუშვათ, რომ ყველაზე კარგი შედეგი მოგვცა მეორე ბოთლმა, რომელშიც მიმატებული იყო 4 მლ 1/4%-იანი შელატინის ხსნარი. 1 მლ შელატინის ხსნარი შეიცავს 0,25 : 100 = 0,0025 გრ მშრალ წებოს, 4 მლ კი 4-ჯერ მეტს ე. ი. 0,01 გრამს.


$$\frac{0,25 - 0,1}{100 \text{ ლ} - X} \times \frac{100 \cdot 0,01}{0,25} = 4,0 \text{ გრ.}$$

ე. ი. ჰექტოლიტრ ღვინის გასაწებად საჭირო ყოფილა 4 გრ მშრალი შელატინი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიური გარემონტირებული სამსახური

იმ შემთხვევაში, როდესაც სურთ სწრაფად დააჭირნონ
ლვინის გასაწმენდად საჭირო ჟელატინის და ტანინის რაო-
დენობა, სარგებლობენ სპეციალური ხელსაწყოთი ე. წ. ტანო-
კლარიმეტრით, რომელც სწრაფად გვიჩვენებს აქვს თუ არა
წებოს გაწებვის უნარიანობა, და წებოს და
ტანინის რა რაოდენობაა საჭირო აღებული
ლვინის გასაწებად. იგი მოწყობილია იმ პრინ-
ციპზე, რომ ყველა წებოვანი ნივთიერებანი
ჭარბი ტანინის მიმატების დროს სწრაფად
იჭრებიან, მომსხო ფიფქის სახით მაშინვე
ილექტებიან და ამგვარად ლვინოს სწმენდენ.

ხელსაწყო შედგება 100 მლ მოცულობის
ქვერცხისმაგვარი მინის ოზერვუარისაგან და
დანაყოფებიან ცილინდრულ მილისაგან, რო-
მელიც ბოლოვდება გამსხვილებული ბურთუ-
ლისმაგვარი ყელით და იხურება კაუჩუკის
საცობით. მილზე აღნიშნულია დანაყოფები
და ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ წებოს
და ტანინის საჭირო რაოდენობას 100 მლ
ლვინოზე. ხელსაწყოში პირველ დანაყოფამდე
ასხამენ 100 მლ ლვინოს, შემდეგ მეორე და-
ნაყოფამდე უმატებენ ტანინის ხსნარს და სა-
ცობის დახურვისთანავე კარგად ანჯლრევენ.
ამრიგად, ლვინო ტანიზირდება, რის შემდეგაც
მასში მცირე დოზით ასხამენ წებოს ხსნარს
და ყველი მიმატების შემდეგ ენერგიულად
ანჯლრევენ და დაკვირვებას აწარმოებენ. თუ
ხსნარში წარმოშობილი ფიფქები კიდევ ცუ-
რავენ, მაშინ აგრძელებენ წებოს ხსნარის მცი-
რე დოზით მიმატებას, მას კიდევ ანჯლრევენ
ენერგიულად და 2—3 წუთს ასე სტოვებენ.
ეს ოპერაცია იქამდე გრძელდება, ვიდრე დაუ-
წმენდავ ლვინოში არ წარმოიშობა ღრუბლისე-
ბური მცურავი ფიფქები. ამგვარად, ადვილად



ნახ. 2. ტანო-
კლარიმეტრი



დავადგენთ იმ მომენტს თუ როდის იქნება მიმატებული შემდეგი საკმარისო რაოდენობა. როდესაც მივაღწევთ დამაკმაყოფილებელ შედეგს, ვსინჯავთ თუ რა დონეზე გაჩერდა სითხე დანაყოფებიან მიღწი, რომელიც 100 მლ ღვინოზე ჟელატინის და ტანინის საჭირო რაოდენობის მაჩვენებელია.

ტანოკლარიმეტრისათვის წებოს და ტანინის ხსნარი შემდეგნაირად მზადდება: 1 გრ ჟელატინს ხსნიან 200 მლ ცხელ წყალში და კარგად არევით 1 ლიტრამდე ცივი წყლით ავსებენ. ტანინის ხსნარიც ასევე მზადდება, ამისათვის 1 ლიტრ წყალზე საჭიროა 10 გრ მშრალი ნივთიერება. ტანინისა და ჟელატინის ასეთი ხსნარები ძალიან მაღლე ფუჭდება და იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მათი შენახვა, საჭიროა 1 ლიტრ ხსნარზე დავამატოთ 1/4 წვეთი მდოგვის ესენცია.

ჟელატინის ხსნარის მომზადება. როდესაც გასაწებად ჟელატინს საუკეთესო დოზას დავადგენთ, ვწონით მის საჭირო რაოდენობას და გარეშე სუნის მოსაცილებლად ცივ წყალში ვალბობთ. 12 საათის შემდეგ წყალს გადავაქცევთ, ზედ ცხელ ან ცივ წყალს დაგასხამთ და $50-60^{\circ}$ -ზე გავათბობთ, სანამ ჟელატინი მთლიანად არ გაიხსნება. გათბობა სწარმოებს ორთქლით ან წყლით. ამ მიზნით ჟელატინის ხსნარის ჭურჭელს ვათავსებთ წყლის აბაზანაზე, ისე რომ იგი უშუალოდ ცეცხლის აღზე არ თბებოდეს, რათა არ მიიწვას, რაც ამცირებს ჟელატინის გაწებვის უნარიანობას. ჟელატინის გაწებვის უნარიანობაზე არავითარ გავლენას არ ახდენს მისი გათბობა, რასაც ადგილი ჭქონდა თევზის წებოს შემთხვევაში, როდესაც ჟელატინი მთლიანად გაიხსნება, ხსნარი, მასზე ღვინის მიმატებით, მიგვყავს საჭირო რაოდენობამდე. ამის შემდეგ ვაწარმოებთ კარგად დარევას ცოცხისებური სარევით ან სპეციალური სათქვეფით. დამზადებულ ხსნარის საჭირო რაოდენობას წინასწარ გაანგარიშების მიხედვით ღვინში ვანაწილებთ და მასაც კარგად ვურევთ. თუ ღვინო ტანინის მიზატებას საჭიროებს, ისიც წინასწარი გამოანგარიშების მიხედვით, შეგვაქვს ღვინოში ჟელატინის მიმატებამდე 24 საათით ადრე. კასრებში დარევას ვაწარმოებთ სპეციალური სარევით. და-



ღევის დროს ღვინო რომ არ გადმოიღვაროს, საჭიროა მოვაკლოთ წინასწარ 1—2 ლ/ლ, შემდეგ დავასხათ ხსნარი და ვურიოთ კარგად აქაფებამდე, როდესაც ქაფი ძირს დაიწევს, ამოკლებულ ღვინოს ისევ ზედ ვასხამთ შესავსებად და ვახურავთ საცობს.

დარევის დროს ხდება ღვინოში შეტანილი ჟელატინის აჭრა და ტანინთან შეერთება, რის შედეგადაც წარმოიქმნება ტანატები, რომლებიც თავის სიმძიმის გამო ჭურჭლის ფსკერზე იძირებიან და თან მიაქვთ სიმღვრივის გამომწვევი წვრილი ნაწილაკები.

ღვინოში ჟელატინის ხსნარის ცხელ მდგომარეობაში ჟეტანა მიზანშეწონილი არაა, რადგან იგი ნელა ილექტება და უფრო ცუდად სწმენდს ღვინოს.

კვერცხის ცილა

კვერცხის ცილა სარდაფის მეურნეობაში ღვინის გასაწმენდად გამოიყენება ახალი კვერცხის გულიდან მთლიანად განცალკევებული ცილა, რომელიც წარმოადგენს ცილოვან ნივთიერებათა წყლიან ხსნარს ალბუმინად წოდებულს და ხასიათდება იმით, რომ გაცხელებისას უხსნად მდგომარეობაში გადაღის.

კვერცხის ცილა იხმარება ტანინით და გამბურავი ნივთიერებებით მდიდარ წითელი ღვინოების გასაწმენდად. ღვინოსთან შეერთებისას იგი იძლევა დიდი მოცულობის სწრაფად დამლექ ფიფებს, მკვეთრად განირჩევა თავისი მოქმედებით ჟელატინისაგან, სწრაფად სწმენდს ღვინოს და წარმოშობს შედარებით მკვრივ ნალექს. ერთი კვერცხის ცილა საშ. 30 გრ.—გაწებვის უნარიანობით უდრის 2—4 გრ ჟელატინს. არსებობს კვერცხის მშრალი ცილა ფხვნილის სახით, 1 კგ მშრალი ფხვნილის დასამზადებლად საჭიროა 300-მდე საშუალო ზომის კვერცხის ცილა. ფხვნილი უნდა იყოს ოდნავ ყვითელი და არ უნდა ჰქონდეს რაიმე სუნი, რაც სიძველის მაჩვენებელია და უვარგისია ღვინის გასაწებად. ახალი კვერცხის ცილასთან შედარებით მისი მოქმედება ნაკლებ ენერგიულია,



იძლევა უწვრილეს ფიფქებს და სრული დალექვისათვის უპირობო დროს საჭიროებს. მშრალი ცილის გამოყენების უპირობო ბა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ხმარების დროს ზედმეტი ცილა ღვინიდან ილექება, მაშინ, როცა ახალი ცილით გაწებვის დროს ცილის ნაწილი შეიძლება ხსნად მდგომარეობაში დარჩეს და ღვინის ხარისხი გააუარესოს. ისე კი გაწებვის უნარი ახალ ცილას მეტი აქვს.

კვერცხის ცილის საჭირო რაოდენობა ღვინის გასაწებად-კვერცხის ცილა კარგად სწმენდს წითელ ღვინოს, თუ იგი მასში შეტანილი იქნება სათანადო პროპორციით. ცილის მისამატებელი რაოდენობა დამოკიდებულია ღვინოში მყოფ მთრიმლავ ნივთიერებათა რაოდენობაზე. მშრალი ცილა აიღება ჰექტოლიტრ ღვინოზე 40—60 გრ-მდე. ჭარბად მიმატების შემთხვევაში იგი მთლიანად ილექება და ღვინისათვის არავითარი ვნება არ მოაქვს. როდესაც ღვინოს ახალი კვერცხის ცილით ცწებავთ, თუ ღვინოში შეტანილი ცილა არასაჭმარისია ან ზედმეტია, იგი ცუდ გავლენას ახდენს ღვინის ხარისხზე. ამიტომ საჭიროა წინასწარ ჩავატაროთ საცდელი გაწებვა.

ცდის დაყენება გაწებვაზე. საცდელი გაწებვისათვის იღებენ კვერცხის ცილას წონით 28—30 გრ და კარგად თქვეფენ 400 მლ მავარი სპირტის წყლიან ხსნარში (340 მლ წყალი + 60 მლ სპირტი).

თუ გათვალისწინებული არა გვაქვს ხსნარის შენახვა, შეიძლება იგი 400 მლ წყალში სპირტის მიმატების გარეშეც დავამზადოთ.

ასეთი ხსნარის 1 მლ 250 მლ ღვინოში ეფარდება ჰექტოლიტრ ღვინოში შეტანილ 1 კვერცხის ცილას. ცილის საჭირო რაოდენობის დასადგენად ვიღებთ 2—3 თეთრ ბოთლს, ვასხამთ 250 მლ გასაწებ ღვინოს და მასში შეგვაქვს დამზადებული ხსნარი პირველ ბოთლში 1 მლ, მეორეში 2 მლ და მესამეში 3 მლ რაოდენობით. 24 საათის შემდეგ ვსინჯავთ თუ მიმატებული ხსნარის რა რაოდენობამ გაწმინდა ღვინო უკმოქსად.

ახალი კვერცხის ცილით ღვინის გაწმენდისას კი, არავი-



თარი ხსნარი არ მზადდება, არამედ კვერცხის გულმარტინი გულმოდგინედ გამოყოფილი ცილის საჭირო რაოდენობა ის-ხმება ხელჩაფაში და კარგად ერევა მცირე რაოდენობის ღვი-ნოსთან ერთად და შემდეგ ემატება გასაწმენდ მასალას. თუ კვერცხის ცილა მიმატებულია ზედმეტი რაოდენობით იგი ღვინოში ტანინთან შეუბოჭავი რჩება და მან შეიძლება გა-მოიწვიოს ღვინის ცვალებადობა.

რ ძ ვ

რ ძ ვ 3 რძე გამოიყენება მაშინ, როდესაც ღვინო ნაკლებ ხარის-ხოვანია, აქვს არასასიამოვნო სუნი და გემო ან ფერის შეცვ-ლა (რუხი ფერი, შავი ან ყვითელი—თეთრ ღვინოებს). რამ-დენადაც რძის გამოიყენება, როგორც გამწმენდი ნივთიერე-ბისა, კარგია ზაღიანი ღვინოებისათვის, იმდენად არასასარ-გებლოა იგი ნორმალური ღვინოებისათვის. იგი აფუჭებს ღვინის ფერს, გემოს და ამცირებს არომატულ და ბუკეტო-ვან ნივთიერებებს.

რძე უმთავრესად შეიცავს ორ ცილოვან ნივთიერებას— კაზეინს და მცირე ოდენობით ალბუმინს. რძით ღვინის გაწ-მენდის დროს კაზეინი უერთდება ღვინის მჟავას და წარმო-ქმნის დიდი მოცულობის ფიფქებს, რომლებიც ჰურკლის ფსკერზე ილექებიან. დალექვისას მათ თან მიაქვთ ღვინის ამმღვრევი ნივთიერებანი და ღვინოს რამდენიმე დღეში წმენ-დავენ.

ლორწოვანი ნივთიერებებით მდიდარ ახალგაზრდა ღვი-ნოს რძე სრულიად ვერ წმენდავს. მაგრამ მთრიმლავი ნივ-თიერებებით როგორც მდიდარი, ისე ღარიბი, თეთრი და წითელი ღვინოები კი კარგად იწმინდება რძით, რადგან მი-სი შემაღენელი ნაწილია კაზეინი.

რძის საჭირო რაოდენობის დადგენა. თუ ღვინო ნორმა-ლურია, მის გასაწმენდად საჭიროა რძის მინიმალური რაოდე-ნობა. მართალია რძის დიდი რაოდენობა კარგად ასხივოსნებს ღვინოს, მაგრამ სამაგიეროდ მავნედ მოქმედობს მის ხარისხზე.

საშუალო სიმღვრივის მქონე ღვინოების გასაწმენდად სა-
2. მ. კურდლელაშვილი.



ჭიროა ჰექტოლიტრზე 0,4—0,5 ლიტ. რძე, მაშინ როდებულობა ზაღიანი ღვინოებისათვის საჭიროა 1 ლიტრამდე და უფრო მეტიც; ამიტომ ღვინის გაწმენდის დროს უკეთესია წინაშარ ჩავატაროთ საცდელი გაწმენდა.

საცდელი გაწმენდა. ამ მიზნით 3—4 ნახევარლიტრიან ბოთლში ასხამენ 500 მლ გამოსაცდელ ღვინოს და მასში 2—3—4 და 5 მლ ახალ რძეს უმატებენ. 24 საათის შემდეგ ან ცოტა უფრო ადრე შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რძის რომელმა ულუფამ უკეთესი შედეგი მოგვცა. თვითეული მლ რძე 0,5 ლიტრ ღვინოზე ეთანაბრება 200 მლ რძეს ჰექტოლიტრ ღვინოზე. რძით დამუშავება ღვინოს ამდიდრებს ლაქტოზით და ცხიმით, რამაც ღვინის გაწმენდის შემდეგ შეიძლება გამოიწვიოს სიმღვრივე. ამიტომ ყველაზე უკეთესია ღვინის გაწმენდისათვის გამოვიყენოთ ახალი, მაგრამ მოხდილი და აუდუღარი რძე, რადგან ცხიმი ცუდად მოქმედებს ღვინის გასხივისნებაზე, ადუღებული რძე კი ამცირებს გაწებვის უნარს.

რძით ღვინის გაწმენდისას ურჩევენ შელატინირებულ რძეს, რომელსაც ვლებულობთ რძეში 5% თეთრი შელატინის დამატებით. ასეთი სხარი მნიშვნელოვნად ადიდებს გაწებვის უნარიანობას და იგი შეგვიძლია გამოვიყენოთ ნორმალური თეთრი ღვინოების გასაწმენდად.

პ ა ზ ვ ი ნ ი

რძით ღვინის გაწმენდისას არსებითი მნიშვნელობა მხოლოდ მის შემადგენელ ნაწილს კაზეინს ($3 - 4\%$) იქვეს. სხვა ნივთიერებანი კი როგორიცაა ალბუმინი 5%, რძის შაქარი ($3 - 4\%$) და მინერალური ნივთიერებანი ($0,7\%$) მავნედ მოქმედებენ ღვინოზე. ამიტომ შეეცადნენ კაზეინი რძის სხვა შემადგენლობიდან გამოეყოთ ფხვნილის სახით, რომელიც ცნობილია ლაკტოკონილის სახელით. იგი თეთრი ფხვნილია, ძლიერ მსუბუქი, წყალსა და მჟავაში ნაკლებად ხსნადი. უპირატესობა ეძლევა თეთრი ღვინოების ფერის გამოსაკეთებლად, აგრეთვე, გადაბრუნებულ და გამწარებულ ღვინოების სამკურნალოდ.

თეთრი ნორმალური საშუალო სიმღვრივის მქონე ღვიძების გასაწმენდად საჭიროა ჰექტოლიტრზე 10—20 გრ კაზერთნის გაყვითლებულ ან გარუხებულ ღვინის გაუფერულებისათვის 30—40 გრ და ზოგჯერ თითქმის 80 გრამიც კი, როგორც ძლიერი გამაუფერულებელი საშუალება, მისი ხმარება წითელი ღვინოებისათვის მიზანშეწონილი არ არის. ღვინის გასაწმენდად 100 გრ კაზეინის ფხვნილს ხსნიან 1-ლ 1%-ან კალიუმის ტუტეში და ხმარების წინ იმ ვარაუდით აზავებენ, რომ 2—3%-ანი კაზეინი მიიღონ. მიღებულ ხსნარს კარგად თქვევენ და გასაწმენდ ღვინოს უმატებენ. კაზეინის საჭირო რაოდენობის განსაზღვრისათვის ახდენენ საცდელ გაწებვას. საჭირო რაოდენობის გამოანგარიშება ისეთივე წესით ხდება, როგორც რძით გაწენდის შემთხვევაში.

სისხლის ყვითელი მარილი (ჰეროციანქალიშვილი)

როგორც ცნობილია, მეტალების ზომაზე მეტი რაოდენობით დაგროვება ღვინოში ღვინის სიმღვრივის მთავარ მიზეზს წარმოადგენს. მას ეკუთვნის რკინა-ფოსფორის სიმღვრივე—ღვინის თეთრი და ნაცრისფერი კასი, რკინა-ტანინის სიმღვრივე—რკინის შავი კასი, ზოგჯერ სპილენძის კასი, რაც გამოწვეულია ღვინოში სპილენძისა და თუთიის არსებობით.

1903 წელს მესლინგერმა ღვინოში სისხლის ყვითელი მარილის შეტანით გამოლექა მეტალური მარილები. 1923 წელს ღვინის გასაწმენდად მისი ხმარება დაშვებულ იქნა გერმანიაში, ხოლო შემდეგ მეღვინეობის სხვა ქვეყნებში. იგი კარგად წმენდს რკინის, თუთიის და სპილენძის მარილებით მდიდარ ღვინოებს, იხმარება აგრეთვე ამ მეტალებით გამოწვეულ ღვინის კასების თავიდან აცილების მიზნით. კარგად ლექავს ცილოვან და პექტინოვან ნივთიერებებით გამოწვეულ სიმღვრივეს. ხელს უწყობს აგრეთვე ღვინის დამწიფების და გემური თვისებების გაუმჯობესებას, ამიტომ იგი გამოიყენება ღვინის ნაადრევად ბოთლებში ჩამოსხმისას. ფეროცეანკალიუმით ღვინის გაწმენდა მიზანშეწონილია წონასწორობაში ჩამდგარი ახალგაზრდა ღვინოებისათვის მეორე ან მესამე გადალების შემდეგ.



ყვითელი სისხლის მარილით გაწმენდილი ჩამოუყალბეჭდისა ლი კუპაჟები უფრო სრული და ჰარმონიული ხდება. იგი, აგრეთვე კარგად მოქმედებს ყინვით დაზიანებული ყურძნიდან მიღებულ ღვინოზე, ადვილად აცილებს ყინვის გემოს და მუქ შეფერვას.

ფონდერვაციდე დიდ უპირატესობას აძლევს ყვითელი სისხლის მარილს წითელი ღვინოების გასაწმენდად იმ მხრივ, რომ იგი არ ამცირებს საღებავ ნივთიერებებს. ფეროცეანკალიუმის ხმარება ღვინოში დიდ სიცროთხილეს მოითხოვს. თუ გაწმენდის შემდეგ ღვინოში დარჩა ყვითელი სისხლის მარილის მცირე რაოდენობაც კი, მას ღვინის მჟავა დაშლის და წარმოიქმნება ცეანის მჟავა, რომელიც საწამლავია აღამიანის ორგანიზმისათვის. ამიტომ ყვითელი სისხლის მარილის ხმარების დროს ზუსტად უნდა იქნეს გაანგარიშებული მისი საჭირო რაოდენობა, ზუსტად უნდა იქნეს განსაზღვრული, აგრეთვე, ღვინოში არსებული რეინის რაოდენობა და ბოლოს ყვითელი სისხლის მარილი ღვინოში იმ ანგარიშით უნდა იქნეს შეტანილი, რომ გაწმენდის შემდეგ ფეროცეანკალიუმით შეუბოჭავი რჩებოდეს 5—6 მგ რკინა. ღვინო ნორმალურად 5—7 მგ რკინას უნდა შეიცავდეს, მაგრამ ძლიერ ხშირად 10—15 და ზოგჯერ 20 მგ-ზე ტეტსაც გვხვდებით. ყვითელი სისხლის მარილით ღვინის გაწმენდისათვის ამ მარილის საჭირო რაოდენობას ცოტა წყალში გახსნიან, გასაწმენდ ღვინოს დაუმატებენ და კარგად ურევენ. ასე ტოვებენ 1—2 კვირის განმავლობაში და როდესაც ღვინო კარგად დაიწმინდება, მას ლექიდან გადაიღებენ. ლექზე ღვინის დიდხანს გაჩერება მიზან მეწონილი არ არის, რადგან მჟავების მოქმედებამ შეიძლება ცეანისმჟავა გამოყოს. ყვითელი სისხლის მარილით გაწმენდისას გამოყოფილი ნალექი (ბერლინის ლაჟვარდი) ნაწილობრივ ღვინოში რჩება და ფილტრში ადვილად ატანს, ამიტომ ფეროცეანკალიუმით ღვინის გაწმენდისას ახდენენ ღვინის ტანინიზაციას და შელატინით დამუშავებას.

ესპანური გირზა

ესპანური მიწა წარმოადგენს მოწითალო ფერის თიხას, რომელიც გვხვდება ესპანეთში და მთის ქანების გამოფიტოს 20



პროდუქტს წარმოადგენს. ცუდი ხარისხის ესპანურ შემცირებული დიდი რაოდენობით (40—60%) იმყოფება კირი, რომელიც სრულიად აფუქებს ღვინის ხარისხს. გარდა ამისა, ესპანური მიწა დიდი რაოდენობით შეიცავს აზოტის სიმჟავეს, რომელიც მართალია ღვინოზე ცუდად არ მოქმედებს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად აღიდებს ღვინოში აზოტის ნორმალურ შემცველობას.

ესპანური მიწა ღვინოზე უმთავრესად მექანიკურად მოქმედებს, მაგრამ მას შეუძლია იმოქმედოს ქიმიურადაც, რადგან მასში იმყოფება კაჟის მჟავე გარილები, რომელებიც ღვინოსთან შეერთებით კაჟის სიმჟავეს გვაძლევენ. კაჟის მჟავა დიდი მოცულობისაა და ისევე წარმოშობს ნალექს, როგორც სხვა გამწებავი ნივთიერებანი.

ესპანური მიწა ყველაზე საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ლორწოვანი ღვინის გასაწმენდად. ახალგაზრდა ღვინო, რომელიც ხშირად შეიცავს მცირეოდენ ლორწოს, 1 გადალების შემდეგ ესპანური მიწით მისი გაწმენდა ძალიან კარგ შედეგს იძლევა. იმ შემთხვევაში, როცა ღვინო არ იწმინდება წებოვანი და ცილოვანი ნივთიერებებით, მიმართავენ ხოლმე ესპანურ მიწას. ესპანური მიწით კარგად იწმინდება აგრეთვე ტკბილი ღვინოები, რომელთაც წებოვანი და ცილოვანი ნივთიერებები ვერ სწმენდენ.

ჰექტოლიტრ ღვინოზე იხმარება 200—500 გრ-მდე კარგი ხარისხის ესპანური მიწა; წინასწარი გამოცდა წარმოებს მცირეოდენ ღვინოზე, ამის შემდეგ, იმისდა მიხედვით თუ როგორი ლორწოვნება აქვს ღვინოს, საჭირო რაოდენობის ესპანურ მიწას აწონიან, დაალბობენ, ღვინოში გასთკვეთავენ და კასრში ასხამენ.

უმეტეს შემთხვევაში ესპანური მიწით გაწმენდის დროს ღვინო ვერ ღებულობს სრულ გამჭვირვალობას, იგი, როგორც ვთქვით, იხმარება მხოლოდ ლორწოთი დაავადებულ ახალგაზრდა ღვინოების სამკურნალოდ, რის შემდეგაც თითქმის ყოველთვის საჭიროა ღვინის დამატებითი გაწმენდა რომელიმე გამწებავი (ცილოვანი ან წებოვანი) ნივთიერებანით, ან გაფილტვრა.

მაღალ ტემპერატურაზე დაწვით მიიღება მცენარეულო (არყის ხის) და ცხოველური (ძვლის და სისხლის) ნახშირი, რომელიც სარდაფის მეურნეობაში გამოიყენება, როგორც გამაუფერულებელი და ცუდი სუნის და გემოს მომცილებელი საშუალება. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ნახშირი ღვინოს უკარგავს არა მარტო ფერს, არამედ ბუკეტოვან ნივთიერებებსა და გემურ თვისებებს. ამიტომ იგი ზაღიანი ღვინოების გამოსასწორებლად ნორმალური ოდენობით უნდა გამოვიყენოთ.

მცენარეული ნახშირი, ღვინის შეფერვის მიხედვით, ჰექტოლიტრზე საჭიროა 500—1000 გრ-მდე. ცხოველური ნახშირი კი უფრო ენერგიულად მოქმედებს და ამიტომ იგივე რაოდენობის ღვინოზე საჭმარისია 50—100 გრ.

ღვინის გაუფერულება უკეთესია ღვინის დაცულებამდის მოვახდინოთ, ამ შემთხვევაში იგი ნაკლებად კარგავს თავის ხარისხს. არსებობს ქიმიურად სუფთა ცხოველური ნახშირი ფხვნილის სახით, რომელიც ნეიტრალური რეაქციისა უნდა იყოს, თუ იგი ტუტე რეაქციისაა, განხავებული მარილის სიმჟავის ხსნარში უნდა დამუშავდეს და შემდეგ მჟავე რეაქციის შეწყვეტამდე სუფთა წყალში გაირეცხოს.

პ ა ღ ლ ი ნ ი

კაოლინი წარმოადგენს ალუმინიუმის სილიკატს, რომელიც ღვინოზე უმთავრესად მექანიკურად მოქმედებს, მაგრამ კაშის მჟავა ჰიდრატის შემცველობის გამო იგი ღვინოზე ქიმიურადაც მოქმედებს. კაოლინის ხმარობენ შემდეგნაირად: თვითეულ ჰექტოლიტრ ღვინისათვის იღებენ 300—600 გრ. კაოლინის, კარგად გაქნიან 1 ლ წყალში, ჩასხამენ გასაწმენდ ღვინოში და კარგად დარევის შემდეგ წყარ მდგომარეობაში ტოვებენ. იგი ძლიერ ნელა ილექტა და ღვინის გაწმენდისათვის—საშუალოდ 5—6 კვირას საჭიროებს. კაოლინის ლორწოვანი და ტებილი სადესერტო ღვინოების გასაწმენდად ხმარობენ. იგი აგრეთვე იხმარება ღვინის ცუდი სუნისა და გემოს მოსაცი-



ლებლად. კაოლინით და ესპანური მიწით გაწმენდისას კულტურული ნო ისეთ სხივს უერ ლებულობს, როგორსაც ოვგზის ჭემობის შემდეგ და ულატინით გაწებვის შემთხვევაში, ამიტომ ამ ნივთიერებით გაწმენდის შემდეგ ლვინო კიდევ საჭიროებს სხვა ნივთიერებანით გაწმენდას.

გვარცის ხილა

კვარცის სილა იხმარება გალორწოებული ლვინის გასაწმენდად. წმინდად დანაყული კვარცის სილა ძლიერ მაღე ათავისუფლებს ლვინოს ლორწოვან ნივთიერებისაგან. ოვითეულ ჰექტოლიტრ ლვინისათვის საჭიროა 500 გრ კვარცის სილა.

გ ა ღ ა ლ დ ი

ლვინის გასაწმენდად ხმარობენ აგრეთვე გაუწებავ ქალალდს, ჰექტოლიტრზე 100 გრ რაოდენობით, გარეშე სუნის მოსაცილებლად ქალალდს რეცხავენ, შემდეგ ცომივით აზელენ წყალში და საჭირო რაოდენობით მიუმატებენ გასაწმენდ ლვინოს.

გ მ ხ ტ ო ნ ი ტ ი

უკანასკნელ ხანებში მეღვინეობის პრაქტიკაში ფართო გამოყენება ჰპოვეს ბენტონიტოვანმა თიხებმა, რომლებიც დიდი რაოდენობით მოიპოვება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ასე მაგალითად, საქართველოში გვხვდება ასკანის საბადო, შუა აზიაში — აქზამაროვსკის, შორსუისკის, ოგლანსკის საბადოები, ყირიმში — ყირიმის კილი, უკრაინაში და მოლდავეთში — ოდესისა და ტირასპოლის მწვანე თიხები.

ბენტონიტები წარმოადგენენ ეულკანური ქანებისაგან წარმოშობილ მათეთრებელ თიხებს, რომლებიც ხასიათდებიან სხვადასხვა დისპერსიულობით, აფუების უნარით, პლასტიკურობით და შეუძლიათ განსაზღვრულ პირობებში წარმოშვან მდგრადი წყლის სუსპენზიები.

ბენტონიტოვანი თიხები მიეკუთვნებიან წყლიანი ალუმი-



ნის სილიკატებს, რომელთა შემადგენლობაშიაც შედიან მოწყვეტილობა მორილონტი, ბეიდელიტი, საპონიტი და სხვა თიხოვის მინერალები.

ბენტონიტოვან თიხებს დიდი ხნიდან იყენებენ ღვინის გა-საწმენდად კალიფორნიაში, ჩვენს ქვეყანაში კი მის გამოყე-ნებას მოკლე ხნის ისტორია აქვს. ბენტონიტები ღვინოში არ იხსნებიან, თანდათანობით ილექტიბიან ჭურჭლის ფსკერზე და თან მიიყოლებენ ღვინის სიმღვრივის გამომწვევ ნაწილაკებს.

ბენტონიტებით გაწმენდის შედეგად ღვინო იძენს კრის-ტალურ გამჭვირვალობას, ხდება უფრო რბილი და ჰარმო-ნიული, მასში საგრძნობლად მცირდება თაგვის გემო, რაც სრულიად იკარგება ბენტონიტის დოზის გადიდებით (200—400 გრ ჰექტ-ზე). ბენტონიტოვანი თიხების გაწებვის უნარია-ნობა დამოკიდებულია მათს კოლოიდურ თვისებებზე, რამდე-ნადაც მეტია აფუება და რამდენადაც მაღალია ბენტონიტო-ვანი სუსკენზიის დისპერსიულობა, იმდენად მეტია ღვინის გა-წმენდის ეფექტიურობაც. ბენტონიტოვან თიხებს ღვინის გა-წმენდასთან ერთად უნარი აქვთ შთანთქან რკინა, რკინის ჟანგი ნაწილობრივ აღადგინონ ქვეჟანგად, რითაც თავიდან ავიცილებთ ღვინოში რკინის კასის წარმოშობას. ბენტონი-ტოვანი თიხების გაწმენდის ეფექტიანობა დამოკიდებულია აგრეთვე ღვინის საერთო მევიანობაზე. რაც უფრო მაღალია საერთო მევიანობა, მით უკეთ იწმინდება ღვინო. ამით აიხს-ნება ის მდგომარეობა, რომ ევროპული ტიპის სამარკო ღვი-ნოები, მთრიმლავ ნივთიერებათა ნორმალური შედგენილო-ბით და საერთო მევიანობის ზომიერი შემცველობით, ჰემ-მარიტი ბენტონიტებით კარგად იწმინდებიან.

იმისდა მიხედვით თუ რა ტიპის ღვინოების გაწმენდასთან გვაქვს საქმე, გამოიყენება ბენტონიტების სხვადასხვა სახეო-ბა, ასე მაგალითად: ასკანგელი, აკზამროვსკის თეთრი და ოგ-დანლინსკის თიხა კარგად წმენდს როგორც შამპანურ და სამარკო, ისე ორდინალურ ღვინოებს.

შორუისკის ბენტონიტოვანი თიხა გამოიყენება ორდინა-ლური ღვინოების გასაწმენდად.

აკზამაროვსკის მწვანე, ყირიმის კილი, ასკანთხა და ოდე-



სის ბენტონიტი გაწევების უნარის მიხედვით ჩამორჩებთ თევზის წებოს; ამიტომ ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნენ ქსოვილიანი ფილტრების გამოსაგნესად.

საქ. სსრ ტერიტორიაზე არსებულ 100-ზე მეტ ბენტონიტოვანი თიხების საბადოდან ყველაზე მეტად შესწავლილია ასკანის საბადო, სადაც კოლოიდური ფრაქციის რაოდენობისა და ნაწილაკების მიხედვით ბენტონიტოვანი თიხების 4 სახეობა არსებობს. მათ შორის ღვინის მრეწველობისათვის საუკეთესო სახეობას წარმოადგენს ჭეშმარიტი ბენტონიტი — ასკანგელი.

ასკანგელით ღვინის გაწმენდაზე დიდი კვლევითი სამუშაოები იქნა ჩატარებული ვ. გველესიანის მიერ. რამაც ცხად-ჰყო მისი უპირატესობა თევზის წებოსა და ჟელატინთან შედარებით როგორც ღვინის გაწმენდის, ისე ეკონომიური თვალსაზრისითაც.

ასკანგელი განსაკუთრებით კარგად წმენდს შამპანურ ღვინო-მასალებს, რომელიც ხასიათდებიან შედარებით მაღალი ტიტრული მჟავიანობით და მთრიმლავ ნივთიერებათა ნაკლები შემცველობით. ასკანგელით აგრეთვე კარგად იწმინდება მაგარი და სადესერტო ღვინოების უმეტესი ნაწილი.

ბენტონიტი, როგორც ძლიერი ადსორბენტი, მოქმედებს წითელი ღვინის სალებავებზე, ამიტომ მისი გამოყენება წითელი ღვინოების გასაწმენდად მიზანშეწონილი არ არის.

ასკანგელის საჭირო რაოდენობა ღვინის გასაწმენდად. ღვინის გასაწმენდად ასკანგელის ღვინოში შესატანი რაოდენობა დამოკიდებულია როგორც მის ოვისებებზე, ისე გასაწმენდი ღვინის ხარისხზე. სხვადასხვა შინაარსის შედგენილობის ღვინო საჭიროებს ასკანგელის სხვადასხვა რაოდენობას, ასე მაგალითად: შამპანური ღვინო-მასალებისათვის, რომლებიც შედარებით მაღალი ტიტრული მჟავიანობით ხასიათდებიან, ჰექტოლიტრ ღვინოზე საჭიროა 40—50 გრ მშრალი ასკანგელი. ევროპული ტიპის სამარჯო ღვინოებისათვის ჰექტოლიტრზე 50—60 გრ, ორდინალური ღვინოებისათვის კი 80—100 გრ.

ღვინის გაწმენდის წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია ბენტონიტოვანი თიხების სუსპენზიის დამზადების ხა-



რისხზე, მათ კოლოიდურობაზე და დისპერსიულობაზე. უმიმარესი
ტომ ღვინის გაწმენდის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდება რეცეს
წყლიანი და წყალღვინიანი სსნარების დამზადების წესს.

წყლიანი და წყალღვინიანი სსნარების დამზადებისას იქ-
ცევიან შემდეგნაირად. ასკანგელს დამტევრევენ და დანაყავენ,
1 წილ დანაყილ ასკანგელს ასხამენ 5 წილ ადულებულ წყალს
და კარგად სრესენ, ვიდრე ერთგვაროვან მასას მიღებდნენ. ასეთი
დამუშავებით ასკანგელი 24 საათის განმავლობაში კარგად
ფუვდება. ამ აფუებული მასიდან ამზადებენ 5 ან 10% -ან ბენ-
ტონიტწყლის ან ბენტონიტღვინის ხსნარს. ამ მიზნით 6 ლ გა-
ფუებულ მასას 4 წილ წყალს ან ღვინოს უმატებენ და კარგად
ურევენ. ასე დამზადებულ ხსნარს 24 საათს ტოვებენ, რის შემ-
დეგაც კარგა შენჯლრევით გასაწმენდ ღვინოში შეიტანენ. ხსნა-
რის შეტანის შემდეგ ღვინოს 15—20 წუთის განმავლობაში ენერ-
გიულად ურევენ მექანიკური სარევით და 10—12 დღეს ბნელ
და წყნარ მდგომარეობაში ტოვებენ. ეს პერიოდი საჭიროა
იმისათვის, რომ მოხდეს ღვინის კოაგულაცია. უარყოფითად
დამუხტული ასკანგელის ნაწილაკები ღვინოში უერთდებიან
დალებითად დამუხტულ ცილოვან ნივთიერებებს, რაც იწვევს
ღვინის კრისტალურ გაწმენდას. დაწმენდილ ღვინოს ლექი-
დან მოხსნიან, და შემდგომში, ღვინის ამღვრევის თავიდან
აცილების მიზნით ქსოვილის ფილტრში ატარებენ.

ვიდრე ღვინის საწარმოო გაწმენდას შევუდგებოდეთ სა-
ჭიროა ჩავატაროთ საცდელი გაწებვა.

საცდელი გაწებვა. ოთხრი მინის 250 მლ მოცულობის 8
ცილინდრში იღებენ 200—200 მლ გასაწმენდ ღვინოს და
უმატებენ ბენტონიტღვინის ხსნარს შემდეგი ოდენობით: 0,5
მლ, 1,0 მლ, 1,5 მლ 2,0 მლ; 2,5 მლ; 3,0 მლ; 3,5 მლ; 4,0
მლ; რაც შეესაბამება 0,25; 0,50; 0,75; 1,0 და ა.შ. მლ 10%
ხსნარს 1 კ/ლ ღვინოში.

ხსნარის დამატების შემდეგ ღვინოს ცილინდრში კარგად
ანჯლრევენ და ტოვებენ ბნელ და წყნარ მდგომარეობაში.
24 საათის შემდეგ ღვინის გამჭვირვალობისა და ლექის ხა-
სიათის მიხედვით ადგენენ ღვინის გაწებვისათვის ხსნარის
საუკეთესო დოზას.



ვთქვათ საცდელი გაწებვით უკეთესი გაწმენდა ~~მეტილური~~
მეორე ცილინდრში, რომელშიც შეტანილი იყო 1,0 ~~მლილი~~
ხსნარი, მაშინ ერთ ლიტრზე გადაანგარიშებით მივიღებთ
 $\frac{0,1 \cdot 1 \cdot 100}{200} = 0,5 \text{ გრ/ლიტრზე.}$

ჰექტოლიტრზე კი საჭირო იქნება 50 გრ მშრალი ბენტო-
ნიტი. ასკანგელით ღვინის გაწმენდა შეიძლება ვაწარმოოთ
წლის ყველა დროში, მაშინ, როცა ოვეზის წებოთი და ქელა-
ტინით გაწებვა ზაფხულობით არ შეიძლება, რადგან ისინი მა-
ღალ ტემპერატურაზე იხრწნებიან და იწვევენ ღვინის ხარის-
ხის გაუარესებას.

ამასთან, ასკანგელი ძალიან იაფია და მისი გამოყენება
ეკონომიის თვალსაზრისითაც მიზანშეწონილია.

ბენტონიტოვანი თიხების ღირსებას უნდა მიეწეროს ისიც,
რომ ეს ნივთიერებანი, როგორც მინერალური კოლოიდები,
არ ფუჭებიან და ღვინოში დიდი ხნით გაჩერების შემთხვე-
ვაშიც არ აძლევენ მას გარეშე სუნსა და გემოს.

ამჟამად ასკანგელი დანერგილია საქშამპანკომბინატის ყვე-
ლა ქარხანაში და დიდი რაოდენობით იგზავნება საბჭოთა კავ-
შირის ღვინის ქარხნებსა და საწარმოებში.

ლვინის დამუშავება საცუვრებით.

ღვინის გასაწმენდად და გემოვნების გასაუმჯობესებლად
ახალი საღი საფუვრებით სარგებლობა მეღვინეობაში ჯერ
კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში იყო ცნობილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა საფუვრები ხასიათ-
ლებიან ძლიერი აღსორბულის უნარით და აღმდგენელი მოქმე-
დებით. ამიტომ მათი შეტანა უპირატესად რეკომენდირებუ-
ლია ძლიერ შეუცერილ და შემღვრეულ ღვინოებში.

ღვინის გასაწმენდად გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ
ისეთი საფუვრები, რომელიც მიღებულია ახალი, საღი ღვი-
ნიდან და რომელთაც აღსორბულის უნარი არ დაუკარგავთ.

საფუვრები გაცილებით ნაკლებ გავლენას ახდენენ ღვინის
გემოზე და ფერზე, ვიდრე ნახშირი. ამიტომ, იმ შემთხვევაში,



როცა თავიდან უნდათ აიცილონ ღვინოში დიდი რაოდენობის ნახშირის შეტანა, ღვინოში საფუვრების გამოყენების ნახშირთან კომბინაციაში ახდენენ.

ასეთი დამუშავების შედეგად გადაღლილი ღვინო რამდენადმე ცოცხლდება და მისი გემური თვისებების აღდგენა ხდება.

ყველაზე რადიკალურ საშუალებას ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად და უხეში, დეფექტური ღვინოების გამოსასწორებლად, დაზიანებული ღვინის ხელმეორედ საფუარზე დადუღება წარმოადგენს.

არ შეიძლება საფუვრებით იქნას დამუშავებული ისეთი ღვინოები, რომლებიც ხასიათდებიან ბაქტერიოლოგიური დაავადებით, მცირე მჟავიანობით, ან დაუდუღარი ჭაქრის დარჩენილი რაოდენობით, მაშინ როცა ჭარბი მჟავიანობის მქონე ღვინოების დამუშავება საფუვრებით ძალიან კარგ შედეგს იძლევა.

საფუვრები ღვინოში ერთ ჰექტოლიტრზე 8—10—15 ლიტრის რაოდენობით შეიტანება, რის შემდეგაც საჭიროა საფუძვლიანი დარევა. ამგვარად დამუშავებული ღვინო ნალექიდან არაუგვიანეს 10—14 დღის შემდეგ უნდა მოიხსნას.

ღვინის გაფარედა აგარაგარით

აგარაგარი მეტად კარგ გამწმენდ საშუალებას წარმოადგენს.

სიტყვა აგარი მალაურ ენაზე წითელ წყალმცენარეს ნიშნავს. იგი მიიღება წყალმცენარე ჟელიდიუმის ერთ-ერთი სახეობიდან. მისი ქიმიური შემადგენლობა არათანაბარია და დამოკიდებულია წყალმცენარის წარმოშობაზე.

წყალმცენარები პიდროლიზის პროცესში, განსაკუთრებულ პირობებში, გამოყოფენ უფორმო ჟელატინის მსგავს ნივთიერებებს, რომლებიც ცივ წყალში არ იხსნებიან, ხოლო მაღუღარ წყალში, რამდენიმე წუთში იძლევიან კოლოიდურ ხსნარს. 40° ტემპერატურაზე ხსნარი გაცივების შედეგად შესქელდება და ნაწილობრივ გადადის უხსნად მდგომარეობაში.

კარგმა აგარმა ხსნარის გაცივებისას უნდა წარმოქმნას
უელე 1,0 გ/ლიტ. რაოდენობით.

რაღვან აგარი სწრაფად ცივდება და სქელდება, ამიტომ
იგი ღვინოში შეტანილი უნდა იქნეს ცხელ მდგომარეობაში.

აგარი ღვინოში ყოველთვის უარყოფითადაა დამუხტული
და ამიტომ იგი გამოსადეგია შელატინით გადაწებილი ღვი-
ნოების გამოსაწორებლად და გალორწოებული ბლანტი ღვი-
ნოების გასაწმენდად, რაღვან ჭარბი შელატინი და ლორწო-
ვანი ნივთიერებანი ღვინოში დაღებითად არიან დამუხტულნი.

აგარი მოიხმარება 1%-იანი ხსნარის სახით ჰექტოლიტრ-
ზე 5—25 ან 15—30 გრ რაოდენობით.

აგარაგარის ხსნარის დამზადება. 1%-იანი აგარაგარის
ხსნარის დასამზადებლად საჭიროა აგარი აირიოს მცირე რა-
ოდენობის ცივ წყალში. სქელი მასის წარმოქმნის შემდეგ
მცირე რაოდენობით ემატება თბილი წყალი მანამ, სანამ არ
მიიღება 1%-იანი ხსნარი. შემდეგ ხსნარს აცხელებენ და და-
ახლოვებით 10 წუთის განმავლობაში ადულებენ.

ცხელი ხსნარი შეაქვთ უფრო მეტი მოცულობის ღვინო-
ში, კარგად ურევენ, ხოლო გასაწმენდ ღვინოში შეტანის შემ-
დეგ კიდევ უფრო საფუძვლიანად ურევენ. დაახლოებით 2
დღის შემდეგ დაილექტა ფიფქები, რის შედეგადაც, ისევე
როგორც თევზის წებოთი გაწებვისას, ხდება წებოდან მოხსნა.

ბლანტი ლორწოს წარმომშობი ბაქტერიების ცხოველმყო-
ფელობის შესაწყვეტად, აგარით გაწმენდის წინ რეკომენდი-
რებულია კალიუმის ჰიპოსულფიტით სულფიტაცია.

ჩვეულებრივად ლორწოს გამომწვევ ბაქტერიების მოცი-
ლებას აღწევენ გადაღებისას.—გამსხურებლის დახმარებით.

გარდა ამისა, ლორწოს მოცილებას შესაძლებელია მიაღ-
წიონ უფრო იოლად, ბენტონიტის დახმარებითაც.

დვინის დაზუშავება აფერინით

აფერინს იყენებენ ღვინიდან ან რომელიმე სითხიდან
რეინის შენაერთის მოსაშორებლად იმ შემთხვევაში, როდე-
საც რაიმე მიზეზით შეუძლებელია ან სასურველი არ არის



ყვითელი სისხლის მარილის გამოყენება. აფერინი გამოიყენება ბა თეთრი და წითელი ღვინოებისათვის, ტკბილი ღვინოებისათვის, ტკბილი წვენებისა და სპირტიანი სასმელებისათვის.

აფერინის უპირატესობა ყვითელი სისხლის მარილთან შედარებით ისაა, რომ ღვინოში მისი ჭარბი რაოდენობით შეტანა საშიში არ არის, რადგან იგი არ მოქმედებს მის გემოზე და არ საჭიროებს წინასწარ ცდის ჩატარებას.

აფერინი წარმოადგენს ფქვილისმაგვარ თეთრ ფხვნილს, რომელიც მიიღება ხორბლის წებოვანი შემადგენლობისაგან და უნარი აქვს დიდი მოცულობის თეთრი ნალექის სახით გამოყოს ღვინიდან სამვალენტოვანი რკინა, რომელიც შედგება ძნელად ხსნად რკინის შენაერთის კომპლექსისაგან.

აფერინი ღვინოში მოქმედებს სორბციით, როგორც ყველა შთანმთქმელი საშუალებისათვის, მისთვისაც საჭიროა კარგი დარევა.

გერმანელი მკვლევარი რენშტლერი გვირჩევს აფერინის დატოვებას ღვინოში 8 დღემდე, შემდეგ ნალექის მოხსნას და შემღვრევის თავიდან აცილების მიზნით თევზის წებოთი ან სხვა საშუალებით გაწევას.

რკინის ნორმალურ (10 მგ ლიტრზე) და აგრეთვე მისი დიდი რაოდენობით (20 მგ/ლ) შემცველობის შემთხვევაში აფერინი შეაქვთ საშუალოდ 20 გრ/ჰექტოლიტრ ღვინოზე.

ჭარბი რაოდენობით აფერინის მიმატება საშიში არ არის, რადგან ღვინიდან მისი მოცილება მეტად ადვილია გაფილტვრის ან გაწევის საშუალებით.

აფერინის ხსნარის მომზადება გაწებვისათვას. აფერინის საჭირო რაოდენობა ლიტრზე 0,2 გრ რაოდენობით უნდა დაითხვნას წვრილად და გაიხსნას მცირე რაოდენობის ღვინოში, ისე რომ წარმოიშვას ერთგვაროვანი მასა მაგარი ნაწილების გარეშე.

რამდენადაც წვრილად იქნება იგი დაფხვნილი, იმდენად სწრაფად და ძლიერად იმოქმედებს გასაწმენდ ღვინოზე.

უხსნადი ნაწილების მოცილების მიზნით, უფრო ნაზი მასის მისაღებად, აფერინი შეიძლება გაწურონ ქსოვილში. პირველად ამ ცომისებურ მასას ურევენ ღვინოში, დარევის მიზ-



ნით ნარეგს რამდენჯერმე ხელჩაფაში გადაიტანენ და ბოლო
გასაწმენდ ლვინოში შეაქვთ, რის შემდეგაც ლვინის შემდებ
დარევას აწარმოებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში აფერინი სით-
ხეში ცუდად განაწილდება, დაილექტება ძირზე და მისი მოქ-
მედება შეიზღუდება, კარგად დარეული აფერინის ხსნარი კი
მძიმედ წარმოშობს სიმღვრივეს. ეს პროცესი გრძელდება
3—4 დღის განმავლობაში, რომლის დროსაც ხდება სორბ-
ცია, ე. ი. აფერინი უკავშირდება ლვინოში მყოფ რკინას. დი-
დი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე განმეორებით საფუძვლიან
დარევას.

აფერინით დამუშავების შემდეგ სიმღვრივე 4—5 დღეში
შესაძლებელია გამოილექოს თევზის წებოთი გაწებვით ან
მოსცილდეს გაფილტვრით.

აფერინით ლვინის დამუშავება ახალი საშუალებაა. იგი
მეღვინეობაში ჯერჯერობით დანერგილი არ არის. მისი ანა-
ლოგიური ნივთიერებაა ფიტინი, რომელიც ცდაში იმყოფება
და მიღებულია დადებითი შედეგები.

ლვინის მოზადვა გაფავისათვის

ვიდრე ამა თუ იმ ნივთიერებით ლვინის გაწმენდას და-
ვიწყებდეთ, საჭიროა იგი ნალექისაგან გავანთავისუფლოთ,
ე. ი. ლვინი სუფთა კასრში გადავილოთ. ახალგაზრდა ლვინო-
ები, რომლებიც ლორწოვან ნივთიერებებს დიდი რაოდენო-
ბით შეიცავენ, საჭიროა პირველყოვლისა განთავისუფლებულ
იქნენ ლორწოსაგან გაქარვით ან გაფილტვრით. ამ ოპერაციის
შემდეგ ახალგაზრდა ლვინოები ჩქარა იმღვრევიან, ამიტომ
მათი გაწებვა საჭიროა დავიწყოთ 2—3 კვირის შემდეგ. წი-
ნააღმდეგ შემთხვევაში გაწებვა შედეგს არ მოგვცემს.

ძლიერ მღვრიე ლვინოების გაწებვა შედეგს არ იძლევა,
ამიტომ გაწებვას იწყებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ლვინის
ამმღვრევი ნაწილაკებისაგან გაანთავისუფლებენ გადაღების
ან გაფილტვრის საშუალებით.

თეთრი ღვინის გაწებვის კარგი შედეგი უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია ღვინოში მყოფ ტანინის რაოდენობაზე, ამიტომ იმ ღვინოებს, რომლებიც ტანინის მცირე რაოდენობას შეიცავენ, გაწებვის წინ განსაზღვრული რაოდენობის ტანინს უმატებენ.

პრაქტიკულად დამტკიცებულია, რომ ნორმალური თეთრი ღვინოებისათვის უელატინით გაწებვის დროს საჭიროა გამწებავი ნივთიერებების 2/3 ნაწილი ტანინი და ზოგჯერ უფრო ნაკლებიც კი (1/2-მდე).

იმ შემთხვევაში, როცა ღვინო ცუდი ხარისხისაა ან ახლად იწყებს დაავადებას, გაწებვისათვის უელატინი დიდი რაოდენობით შეაქვთ, ამასთან დაკავშირებით ტანინის მიმატებაც იმავე პროპორციით ხდება, თუმცა ხანდახან მისი შეფარდება 1 გრ უელატინზე 1,5—2 გრ-მდე მატულობს.

თევზის წებოთი ღვინის გაწენდის დროს ტანინს მხოლოდ და მხოლოდ მეორეჯერ გაწებვის შემთხვევაში უმატებენ, ისიც არა უმეტეს თევზის წებოს 0,5 რაოდენობისას.

სრულიად არ არის საჭირო ტანინის დამატება წითელი ღვინოებისათვის და თეთრი, უხეში, ტანინით მდიდარ ღვინოების გაწენდის დროს. ტანინის დამატებას ღვინო არც მაშინ საჭიროებს, როცა იგი იწმინდება რძით და მისი პრეპარატებით. ტანინი ან ენოტანინი, რომლებიც გეესაჭიროება ხსნარის. მოსამზადებლად, წარმოადგენს ნაცრისფერ ფხვნილს. ხსნარი მზადდება სპირტზე, ღვინოზე ან წყალზე იმ ანგარიშით, რომ 100 მლ სითხეზე მოდიოდეს 20 გრ მშრალი ტანინი. უფრო კონცენტრული ხსნარი არახელსაყრელია და მასთან ტანინიც ცუდად იხსნება. ტანინის შეტანა უკეთესია ვაწარმოოთ გაწებვამდე 24 საათით ადრე, რათა იგი კარგად შეუერთდეს ღვინოს.

გამჭვენდ ნივთიერებათა ხეაჩების გეთოდი


გამჭვენდ ნივთიერებათა წარმატება დამოკიდებულია პრაქტიკაში მიღებულ სპეციალურ წესების ხმარებაზე. ამა თუ იმ გამჭებავი ნივთიერების ხსნარს იღებენ განსაზღვრული რაოდენობით და წინასწარ ურევენ სპეციალურ ჭურჭელში (ხელჩაფი ან ჯამი), არევა ხდება ცოტა რაოდენობის ღვინოში მუნის ან ტირიფის ცოცხის მაგვარად შეკრული წევპლებით ან ლითონის სარევით. შემდეგ ხსნარს დიდი რაოდენობის ღვი-





ნოსთან ერთად ხელჩაფში გადაასხამენ. შერევა ხდება უცროზოდ
მეორეში გადასხმის საშუალებით (იხ. ნახ. № 3). კურაჟელ
დიდ სიმაღლეზე იჭერენ და 5—10 წუთის განმავლობაში ასხა-
მენ ერთი ჭურჭლიდან მეორეში, ამის შემ-
დეგ კარგად გათქვეფილ წებოს ხსნარს
ასხამენ ქასრებში, სადაც გასაწმენდი
ღვინოა მოთავსებული. კასრს წინასწარ
2—3 დ/ლ ღვინოს ამოაკლებენ, რათა
ადგილი მისცენ დასამატებელ ხსნარს
და თან უფრო მეტი შესაძლებლობა
გვერდეს მისი დარევისათვის, რასაც სპე-
ციალური სარევის საშუალებით ვაწარ-
მოებთ (იხ. ნახ. 4, 5, 6, 7).

ღვინოში წებოს შერევისას საჭიროა
დიდი ყურადღებით მოვიქცეთ, რადგან
უხეირო შერევის დროს ღვინო ცუდად
იწმინდება, ან, შესაძლოა, სულაც არ
გაიწმინდოს.

კასრების აღსება ხდება არევიდან რამ-




ნახ. 3



ნახ. 4, i

დენიმე ხნის შემდეგ, სანამ ღვინოს ქაფი არ დააშრება, გამოიყენებოდა გასრის ნახვრეტთან ხის ჩაქუჩით ურახუნებენ. გაწებვის შემდეგ კასრებს დგამენ შპუნტით გვერდზე და ასე ტოვებენ 2—3 კვირას და ხანდახან მთელ თვესაც.



ნახ. 6, 7.

კასრების, რომლებშიც გაწებილი ღვინო მოთავსებული, სამ იარუსად დადგმა არ შეიძლება, რადგან სიმაღლიდან ჩამოლების დროს ნალექი ისევ იმღვრევა.

კასრში წებოს მსხვილი ნაწილები ილექტიან არა მარტო მის ძირზე, არამედ კედლებზედაც და გადალების დროს ღვინოს ამღვრევენ, ამიტომ საჭიროა გაწებვიდან 2—3 დღის განმავლობაში კასრს ხის ჩაქუჩით ვურახუნოთ.

მეზოდან მოხსენე

ღვინის წებოდან მოხსნას იწყებენ 2—3 კვირის შემდეგ, როდესაც ღვინო სრულიად დაიწმინდება. თევზის წებოთი, რძით, კაზეინით და კვერცხის ცილით გაწმენდილი ღვინო შეიძლება მოიხსნას უფრო ადრე, ულატინით გაწმენდილი კი გაცილებით მეტ დროს მოითხოვს.



წებოთანი სუსტი ღვინის მაღალ ტემპერატურის შეცვენება
სარდაფში დიდხანს დატოვება არ შეიძლება, რადგან შესინებულია
ნალექი გაიხრწნას და ღვინო სრულიად გაფუჭდეს. ღვინის წებოდან მოხსნა უნდა წარმოებდეს დიდი სიფრთხილით,
რომ ნალექი არ აიმღვრეს. ამ მიზნით საჭიროა კასრის პირი
გაიხვრიტოს და მის ადგილზე ჩაიდგას ონჯანი. გადალების
დროს უნდა ვეცადოთ, რომ წებოს ნალექი სუფთა ღვინოს
არ გადაჰყვება. რაც არ უნდა ფრთხილიად ვაწარმოოთ ღვინის
განცალკევება წებოდან, სუფთა კასრებში ნალექი მაინც ხვდება.
ამიტომ ვიღრე ღვინოს ბოთლებში ჩამოვასხამდეთ და
გასაყიდად გავიტანდეთ, უნდა გავიდეს 3—4 კვირა, რომლის
განმავლობაშიც ღვინო სრულიად განთავისუფლდება ნალექი-
საგან.

გ ა ღ ა წ ვ გ ა

როცა გასაწმენდ ღვინოში ჭარბადაა მომატებული მწება-
ვი ნივთიერებანი, მაშინ მათი ნაწილი ღვინოში ტანინთან შე-
უბოჭავი რჩება, და ფსკერზე არ იღებება. ამ შემთხვევაში
ღვინო, როგორც მას უწოდებენ, გადაწებილია, ასეთ ღვინოს
სრულიად სუფთა შეხედულება აქვს, ბოთლებში ჩამოსხმისას
კი ძალიან ჩქარა იძლევა ნალექს და საერთოდ ჰარის მცი-
რე შეხებით სწრაფად იმღვრევა. ტანინის საჭირო რაოდენო-
ბის ზუსტიად განსაზღვრისათვის იღებენ ბოთლებს 250 მლ
ღვინოთი, უმატებენ $1/4\%$ -ან ტანინის სპირტიან ხსნარს პირ-
ველში—1 მლ, მეორეში—2 მლ, მესამეში—3 მლ და ა. შ.
ტანინის ხსნარის მიმატების შემდეგ ხდება ძლიერი შენჯღ-
რევა. რამდენიმე ხნის შემდეგ ღვინო იწმინდება თითქმის
ყველა სინჯებში. თვითეული სინჯიდან სინჯარებში გადმო-
ასხამენ სრულიად სუფთა ღვინოს (დაახლოებით 10 მლ) და-
უმატებენ 2—3 წვეთ ტანინის იგივე ხსნარს, საცობს კარგად
დაახურავენ და ძლიერად ანჯღრევენ. დავუწვათ სინჯარებ-
ში სიმღვრივე მოგვცეს იმ სინჯარებმა, რომელთაც დამატე-
ბული ჰქონდა ტანინი 1,2 და 3 მლ, ხოლო დანარჩენი სუფ-
თა დარჩა (3—4 და 5), ეს იმას ნიშანებს, რომ პირველ სამ
სინჯში ტანინი არასაკმაო რაოდენობით ყოფილა მიმატე-



ბული, შემდგომი დამატებისას (უკვე სინჯარებში) იგრძელდებოდა ახლა უერთდება ხსნარში დარჩენილ წებოს და წარმოშობს სიმღვრივეს, მაშინ როცა დანარჩენ სინჯებში კი (მე-4, მე-5) წებო სრულიად შეუერთდა მიმატებულ ტანინს და გამოეყო ნალექი, ამიტომ განმეორებითი ტანინის მიმატებით ლვინო სუფთა რჩება.

გარეშე პირობების გავლენა ლვინის გაფარდაზე

გარდა ლვინის ქიმიური შემადგენლობისა, ლვინის კარგად გაწმენდა დამოკიდებულია იმ გარეშე პირობებზეც, რომელ-შიც გასაწმენდი ლვინო იყოფება. ამ მხრივ აღსანიშნავია ტემპერატურა და ბარომეტრული წნევა. პრაქტიკულად დადგენილია, რომ საუკეთესო პირობა ლვინის გაწმენდისათვის არის მაღალი ბარომეტრული წნევა და დაბალი ტემპერატურა ($8-12^{\circ}$), ამ მხრივ ყველაზე საუკეთესო დროდ შემოდგომა და ზამთარი ითვლება. როგორც მაღალი, ისე მეტად დაბალი ტემპერატურა გაწებვაზე ცუდად მოქმედებს, ასე, მაგალითად, თევზის წებო 6° ტემპერატურაზე მართალია დიდ ფიფქებს წარმოშობს, მაგრამ ისინი თითქმის არ ილექტიან და მხოლოდ სითხის მთელ მასაში ნაწილდებიან. გარდა ამისა, დაბალი ტემპერატურა წითელი ლვინის გაწმენდისას მოქმედებს მის ფერზე და აუფერულებს მას. მაღალი ტემპერატურა კი ამცირებს წებოს აჭრის უნარიანობას. ტემპერატურის მკვეთრი მერყეობა და ბარომეტრული წნევის შემცირება იწვევს სითხის ფენების გადანაცვლებას, გაზის ბუშტების გამოყოფას და წებოს ნალექის ამლვრევას.

შ 0 6 1 1 6 0

ლვინის გამჭმენდი ნივთაერებანი	✓ 3
თევზას წებო	6
ჟელატინი	10
ქვერცხის ცილა	15
რძე	17
კაზეინი	18
სისხლის ყვითელი მარილი (ფეროცვანკალიუმი)	19
ესპანური მიწა	20
ნახშირი	22
კაოლინი	22
კვარცის სილა	23
ერალდი	23
ბენტონიტი	23
ლვინის დამუშავება საფუვერებით	27
ლვინის გამჭმენდა აგარაგარით	28
ლვინის დამუშავება აფერინით	29
ლვინის მომზადება გაწებვისათვის	31
ტანინის დამატება ლვინოში	32
გამჭმენდ ნივთიერებათა ხმარების მეთოდი ✓	32
წებოდან მოხსნა	34
ჩაღაწებება	35
გარეშე პირობების გავლენა ლვინის გამჭმენდაზე	36

რედაქტორი გ. ჯორჯანელი
 მხატვარი ვ. ალიმბარაშვილი
 ტექნიკური ნ. დლონი
 კორექტორი ლ. წიგწივაძე

ჩელმოჭერილია დასაბეჭდად 28/VII-61 წ. ქაღალდის ზომა $84 \times 108^1_{32}$.
 სააღრიცხ.-საგამომცემლო თაბაზი 1,63. ნაბეჭდი თაბაზი 2,05.

საავტორო თაბაზი 1,54.

შე 03671	ტირაჟი 5.000	შეკვეთა № 803
	ფასი 6 კაპ.	

საჭ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიკინატი „კომუნისტი“,
 თბილისი, ლენინი ქ., № 14.

Полиграфкомбинат „Коммунисти“ издательства ЦК КП Грузии
 Тбилиси, ул. Ленина, № 14.



Маринэ Владимировна Курдгелашвили

Оклейка вин

(На грузинском языке)

Государственное издательство

„Сабчота Сакартвело“

Тбилиси

1961

8/623 -

